სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

“სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა დასახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების და სტუ-ის წესდების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge, 2023 წლის 30 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით (რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართი-1, დანართი-2);
3. ფაკულტეტებზე პასუხისმგებელ პირებს დაევალოთ ჩარიცხვის მსურველთა მიერ ატვირთული ინფორმაციის შემოწმება (პასუხისმგებელი პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართი 3);
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსს ლ. თარგამაძეს;
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
6. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმის წარმოების დეპარტამენტმა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).